წერილის ნომერი:**31-31212851**
თარიღი: **12/10/2021**

ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,
გიგზავნით 2021 წლის 26 მარტის N 19 განკარგულებაში ცვლილებას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.
პატივისცემით,

ვერიკო კვირკველია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N

2021 წლის ოქტომბერი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში უსახელო ქუჩისთვის ყვავილნარის სახელის მინიჭების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 მარტის N19 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 63-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში უსახელო ქუჩისთვის ყვავილნარის სახელის მინიჭების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 მარტის N19 განკარგულებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება:

1. განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წყალწმინდაში უსახელო ქუჩისთვის ყვავილნარის სახელის მინიჭების შესახებ"

2. განკარგულების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წყალწმინდაში უსახელო ქუჩას მიენიჭოს ყვავილნარის სახელი თანდართული რუკის შესაბამისად.

მუხლი 2. სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. No14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი" მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.